**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
**ბრძანება N** 01-08/402

ქ. ბათუმი 21---- სექტემბერი, 2020 წ.

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ აბესალომ აბაშიძის ,,2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 30 ნოემბრის №01-09/792 ბრძანებაში დამატების შეტანის და ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 31 ივლისის №01-08/350 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა აბესალომ აბაშიძემ 2020 წლის 7 სექტემბრის განცხადებით (N788873) მოითხოვა მასზე დარიცხული 2250 ლარის ფინანსური დავალიანების შესახებ საკითხის გარკვევა, რათა ხელი არ შეშლოდა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომისათვისშიდა მობილობაში. ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათების თანახმად, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ აბესალომ აბაშიძეს არ გაუვლია აკადემიური რეგისტრაცია 2018-2019 სასწავლო წლის არცერთ სემესტრში. შესაბამისად, მას, როგორც აქტიურ სტუდენტს, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დარიცხული აქვს 2018-2019 სასწავლო წლის სწავლის საფასური - 2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათით (№812181 10.09.2020) დგინდება, რომ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (emis.bsu.edu.ge და spm.bsu.edu.ge) ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტ აბესალომ აბაშიძეს 2018-2019 სასწავლო წლის არცერთ სემესტრში არ უფიქსირდება დარეგისტრირებული სასწავლო კურსები და არ აქვს გავლილი აკადემიური რეგისტრაცია.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილებით 2018-2019 სასწავლო წელს სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანის ვადად განისაზღვრა 2018 წლის 15 სექტემბერი. ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების თანახმად, შესაბამის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, სასწავლო პროცესის მართვის

ელექტრონული მართვის სისტემისა და დეკანის ოფისიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოიცემა რექტორის ბრძანება აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო შესაბამის პირთათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ. აღნიშნული ბრძანების გამოცემა გამორიცხავს სტუდენტისათვის შესაბამისი სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას. აბესალომ აბაშიძეს, როგორც ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის ზვიად ბერაძის №812181 10.09.2020 სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, 2018-2019 სასწავლო წლის არცერთ სემესტრში არ ჰქონდა გავლილი აკადემიური რეგისტრაცია, შესაბამისად, ფაკულტეტიდან მოწოდებული სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მას უნდა შეჩერებოდა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, რაც გამორიცხავდა მასზე შემოდგომის სემესტრის, შემდგომ კი, გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დარიცხვას.

სტუდენტ აბესალომ აბაშიძის განცხადების საფუძველზე გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, როგორც ფაკულტეტიდან, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურიდან, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურიდან, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტიდან და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტიდან. ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. ლელა თურმანიძის სამსახურებრივი ბარათების: №991984 26.07.20219 და №811579 10.09.2020, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის ზვიად ბერაძის სამსახურებრივი ბარათის №812181 10.09.2020 და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ხათუნა აფაქიძის მოხსენებითი ბარათის (№837685 15.09.2020) საფუძველზე კანონშესაბამისია შეტანილი იქნეს დამატება ,,2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 30 ნოემბრის №01-09/792 ბრძანებაში, კერძოდ დანართ №1-ს დაემატოს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი აბესალომ აბაშიძე და შევიდეს ცვლილება ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 31 ივლისის №01-08/350 ბრძანებაში და ამ ბრძანების დანართ №1-დან ამოღებულ იქნას ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი აბესალომ აბაშიძე (პ/ნ: . აღნიშნული ცვლილებისა და დამატების განხორციელების შემდეგ საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტმა უნდა დააკორექტიროს (მოეხსნას) სტუდენტ აბესალომ აბაშიძისისათვის დარიცხული 2018-2019 სასწავლო წლის სწავლის საფასური.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნ-ქტის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66–ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-58-ე მუხლების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის“, ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის, ასოც. პროფ. ლელა თურმანიძის სამსახურებრივი ბარათების (№991984, 26.07.20219 და №811579, 10.09.2020) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის ზვიად ბერაძის სამსახურებრივი ბარათის (№812181, 10.09.2020) და ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, ხათუნა აფაქიძის მოხსენებითი ბარათის (№837685 15.09.2020) და სტუდენტ აბესალომ აბაშიძის 2020 წლის 7 სექტემბრის განცხადების (N788873) საფუძველზე,

ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის **2018 წლის 30 ნოემბრის №01-09/792 ბრძანებაში შევიდეს დამატება,** კერძოდ, ბრძანების დანართ №1-ს დაემატოს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის სტუდენტი აბესალომ აბაშიძე (პ/ნ: ).

2. ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის დავალიანების მქონე ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 31 ივლისის №01-08/350 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება** და ბრძანების დანართ №1-დან ამოღებულ იქნას ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი აბესალომ აბაშიძე (პ/ნ: .

3. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

4. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებისა და დამატების შედეგად ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ფიზიკის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის სტუდენტი აბესალომ აბაშიძე (პ/ნ: ) ჩაითვალოს 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის შემესტრიდან ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირად, სწავლის საფასურის დარიცხვის გარეშე (დაკორექტირდეს (მოეხსნას) მასზე დარიცხული 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასური - 2250 ლარი).

5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ

დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს და სტუდენტ აბესალომ აბაშიძეს, ასევე განთავსდეს მის პირად საქმეში.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

**რექტორი, ასოცირებული პროფესორი** **მერაბ ხალვაში**